

შპს „GIO ფუდი“
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის,რომელიც დასრულდა

2022 წლის 31 დეკემბერს

თბილისი

2023

ს ა რ ჩ ე ვ ი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა
4. მოქმედი და წარსადგენი ვალუტა
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
6. ამონაგების აღიარება
7. ხარჯის აღიარება
8. ძირითადი საშუალებები
9. სასაქონლო-მატერიალურიფასეულობები
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
11. რისკები
12. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები ფული და	46 918	221 785
ფულადი ექვივალენტები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 038 559	1 358 263
სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები	892 824	871 093
სხვა პირებზე ავანსად გადახდილი თანხები	1 537 565	1 344 692
მოკლევადიანი აქტივები	83 134	
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშვალელები	66 499	72 135
სულ აქტივები :	4 665 499	3 867 968
საკუთარი ვალდებულება და კაპიტალი		
სავაჭრო ვალდებულებები	454 955	237 734
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	1 000 000	1 350 000
სულ ვალდებულება	1 454 955	1 587 724
სულ კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	3 210 544	2 280 244
სულ ვალდებულება და კაპიტალი	4 665 499	3 867 968

დირექტორი:  /გ.თოხაძე/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	12 542 931	10 414 461
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(10 915 623)	(9 021 955)
საერთო მოგება	1 627 308	1 392 506
დასაქმებულთა ანაზღაურება	(225 175)	(190 220)
ცვეთა	(10 972)	(14 741)
იჯარის ხარჯი	(127 915)	(100 228)
სხვა ხარჯი	(217 946)	(99 489)
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება	1 045 300	987 828
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის	2 280 244	1 292 416
გაცემული დივიდენდი	(115 000)	
სულ კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3 210 544	2 280 244

დირექტორი :



/გ.თოხაძე/

შპს გიო ფუდი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გიო ფუდის“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, საქმიანობის შედეგებს. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებაზე
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და ადასტურებს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

დირექტორი :



/გ.თოხაძე/

1.ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „GIO ფუდი“, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირი, 2011 წლის 22 დეკემბერი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ/რეორგანიზებული იქნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 404923302.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებული იქნა 1 ფიზიკური პირის (პარტნიორი) მიერ:

- თოხაძე გიორგი -წილის 100 %;

საზოგადოება დღიდან დაფუძნებისა დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორი ქ 9.

საზოგადოების მოქმედი წესდებით კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა არასპეციალიზირებულ მაღაზიებში საკვები პროდუქტებით თევზით, ხორცით და ხორცის პროდუქტებით.

შესაბამისად, კომპანიის საქმიანობობს როგორც ადგილობრივი მომწოდებლებთან ასევე ახორციელებს იმპორტს და აღნიშნულ პროდუქციას უშვებს ექსპორტზეც.

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) მიხედვით.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოების აქტივები და ვალდებულებები, რომელთა შეფასებაც უნდა მოხდეს რეალური ღირებულებით, ფინანსური ანგარიშგებაში აღიარებულია რეალური ღირებულებით.

დირექტორი :

 /გ.თოხაძე/

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

4. მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები


ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკოტეგებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

6 ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაცი-იდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრე-ლობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

დირექტორი :  /გ.თოხაძე/

7. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საზოგადოება ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ასევე უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს დაშესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდაუკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

დირექტორი :



/გ.თოხაძე/

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთისხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულებანი აწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანე- ლობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.


10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

დირექტორი:

/ გ. თოხაძე/



11. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

12. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დირექტორი:

/ გ.თოხაძე/

